

2008. წლის დონორები



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



OPEN SOCIETY
FOUNDATIONS

ფონდის
საქმიანობის
მხარდაჭერა
2008 წელს



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი:
სათემო ცენტრი
საზოგადოებრივი
პასუხისმგებლობისთვის
დემოკრატიზაციის
პროცესში



OSF (ბუდაპეშტი) ხელოვნებისა და
კულტურის ქსელური პროგრამა

პროექტი:
ეთნიკური მრავალფეროვნების
ზემი კახეთში,
საქართველო
(თანადაფინანსება)



თბილისი ფონდი
ფაუნდაცია თბილისისთვის

თანადაფინანსება კონკურსისა:
სოფლად მცხოვრებ ქალთა
ეკონომიკური გაკლიერება



**სოფლად მსხოვრებ ქალთა ბაძლიერება
ეკონომიკური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის**

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პასუხისმგებლობა ყოველთვის იყო გათვალისწინებული როგორც სავარსებო კონკურსების პირობათაგანი, სერიოზული მუშაობა სოფლად მცხოვრებ ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშესაწყობად 2007 წელს დაიწყო ლიდერობის ტრენინგისა და სოფლად მცხოვრები გრანტისმიმღები პარტნიორების საქართველოს ქალთა მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრის ორგანიზებით.

ფონდმა, სიღარიბის დაძლევის ხელშესაწყობად 2004-2008 წლებში 68 მცირე გრანტი გასცა. ჩვენ ვინარჩუნებთ ურთიერთობას წინა წლების გრანტის მიმღებებთან, ვცდილობთ საქართველოს ქალთა მოძრაობაში ჩავრთოთ მათ შორის ყველაზე აქტიური და ინიციატივიანი ქალები. 2008 წლისთვის უკვე შეიქმნა წინაპირობები პროგრამის შემდგომი ეტაპის, სოფლად მცხოვრებ ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშესაწყობის, დასაწყებად. სოფლად ქალთა უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი ქალთა ჯგუფების/ორგანიზაციების მიერ, მათი თანამშრომლობით ქვეყნის წამყვან და გამოცდილ უფლებადამცავ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.



ჯგუფური კონსულტაციისას
During group consultation

კახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის, გურიის, მესხეთის, სამეგრელოს, ზემო აჭარის, შიდა ქართლის, მთიანეთის სოფლებში მცხოვრებ ქალთა/ჯგუფების პროექტები თემებზე: სამკერვალო/ხალხური რეწვა, ტკბილეულის წარმოება, საცხობი, მეღორეობა, რძის, მათ შორის, თხის რძის წარმოება, მებოცვრეობა, მეფრინველეობა, მებაღეობა, ძაღვთა, სილაამაზის სალონი. 2008 წლის სექტემბერსა და 2009 წლის მარტში ჩატარდა სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური საქმიანობისთვის გაცემული გრანტების მონიტორინგი.

პროგრამის შემდგომგანვითარების გეგმა მოიცავდა გრანტისმიმღებთათვის მცირე ბიზნესის მართვის სწავლებას და, განათლებით ქალთა უფლებების სფეროში, მათ მომზადებას საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.

2008 წლის 1 აგვისტოს დაიწყო საპილოტე პროექტი „სათემო ცენტრი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისთვის დემოკრატიზაციის პროცესში“. პროექტის მთავარი მიზანი იყო ქალთა მობილიზება სოფლად გენდერული თანასწორობისა და სამართლიანობის მისაღწევად



სანიორეს ქალთა ცენტრში
In Saniore women's centre

2008 წელს 84 საპროექტო განაცხადი შემოვიდა სავარსებო კონკურსის „სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ფარგლებში. წინასწარშერჩეული 42 პროექტის განხორციელებადობის ადგილზე შემოწმების შემდეგ 29 პროექტი შეირჩა და დაფინანსდა (ამათგან ერთის დასაფინანსებლად თანხა მოვიზიდეთ „თიბისი“ ფონდისგან დაზარალებულითა მხარდასაჭერად). დაფინანსდა



თამარ მათოშვილი, ჩვენი პარტნიორი
Tamar Mathoshvili, our partner

ქვეყნის წამყვან ორგანიზაციებთან/ექსპერტებთან თანამშრომლობით.

სოფ. სანიორეში, კახეთში გაიხსნა ქალთა ცენტრი. ამ ცენტრის საქმიანობა, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის რ სოფელზე (სანიორე, ნაფარეული, ართანა, ფშაველი, ჯულაანი, ლაფანყური) ვრცელდებოდა, ძირითადად ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურებისკენ იყო მიმართული.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი:

- სანიორეს ქალთა ცენტრი ემსახურა თემის წარმომადგენლებს როგორც კომპიუტერული ცენტრი: დოკუმენტების ასლების გადაღება, დახმარება განცხადებების წერაში, კომპიუტერული პროგრამების შესწავლა, ინტერნეტი და სხვა;

- დამყარდა თანამშრომლობითი ურთიერთობები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და კახეთის რეგიონში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან;

- მოეწყო რადიოგადაცემა ოჯახში ძალადობის საკითხზე და დაიბეჭდა და ფართოდ გავრცელდა პლაკატი „ქალებს და ბავშვებს სოფელი არავის დაჩაგვრინებს“;

- ქალთა ცენტრი, ადგილობრივ პოლიციასთან და ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობით, მოემსახურა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს;



ქალთა უფლებების სკოლის მონაწილეთა ჯგუფი
Group of Women's HRs School participants

- სოფლად მცხოვრებმა გრანტისმიმღებმა ქალებმა გაიარეს მცირე ბიზნესის მართვის 5-დღიანი კურსი (ჩაატარა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა);

- ჩატარდა ქალთა უფლებების 6-დღიანი სკოლა, რომელშიც სოფლად მცხოვრები ლიდერი ქალების გარდა, მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ექიმებმა, პოლიციის მუშაკებმა და თემთა რწმუნებულებმა; სკოლის ფარგლებში სემინარების/ტრენინგების ჩასატარებლად ფონდმა ქვეყნის წამყვანი ქალთა ორგანიზაციების ლიდერები მოიწვია;

- სოფლებში სანიორე და ლელიანი შეკრებილ საზოგადოებას ლიტველმა ექსპერტმა ჩაუტარა სემინარები თემაზე „ევროკავშირის მოთხოვნები კანდიდატი ქვეყნების მიმართ გენდერული თანასწორობის სფეროში“;

- შეიქმნა 26-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „მაყვალი“. ფილმი ასახავს სოფლად მცხოვრებ ქალთა მდგომარეობას და მათ პოტენციალს მონაწილეობის მისაღებად ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.



პირველი ჩვენებები გაიმართა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის დარბაზში და კარაღეთის ქალთა ცენტრში;

- დაფუძნდა და ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა სათემო ორგანიზაციამ სოფლის ქალები ადამიანის უფლებებისთვის (RWHR); ორგანიზაცია გაწევრიანდა ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელში.

სანიორეს ცენტრის საქმიანობის გამოცდილება აისახა პროექტის დღიურში; ამ გამოცდილებას ფონდი დაეყრდნო მსგავსი პროექტის შემუშავებისას შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონაში განსახორციელებლად.



კადრი ფილმიდან „მაყვალი“
A still from the film „Blackberry“

2008 წლის აგვისტოს ომმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს მოსახლეობაზე, ისევე, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციების, მათ შორის ფონდის ტასო საქმიანობაზე. იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიტარული საქმიანობა გადაუდებელი დახმარების გასაწევად დევნილი მოსახლეობისთვის, მაგრამ აგრეთვე – მნიშვნელოვანი ცვლილებები ფონდის საქმიანობის დაგეგმარებაში. 2008 წლის ბოლოს ფონდმა, 2009-2011 წლებისთვის, შეიმუშავა ახალი სტრატეგიული გეგმა, რომელშიც, უპირატესად, კონფლიქტებით დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ ქალთათვის განკუთვნილი ადამიანის უფლებების ადვოკატირებისა და სოციალური მობილიზაციის




დევნილები, ფოტო გოგიტა ბუხაიძისა
Internally displaced. Photo: Gogita Bukhaidze

პროგრამების განხორციელება დაიხატა მიზნად. აგვისტოს ომის შემდეგ ფონდი ტასო გაწევრიანდა საერთაშორისო ორგანიზაციაში ქსელი ფონდები მშვიდობისათვის.

ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევა

2008 წელს ფონდმა გააგრძელა პროგრამა „თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის კანონის განსახორციელებლად“. კონკურსის ფარგლებში შემოსული პერსპექტიული პროექტების დახვეწის მიზნით მოეწყო სამუშაო შეხვედრა 6 განმცხადებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ლიდერების მონაწილეობით. გადაამუშავებული პროექტების წარმოდგენის შემდეგ ფონდმა კონკურსის მონაწილე კიდევ 5 ორგანიზაციის პროექტებს დაუჭირა მხარი. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის კანონის დანერგვის მხარდამჭერი პროექტები განხორციელდა ქუთაისში, გორში, ფოთში, ლაგოდეხში და ახალციხეში.

იენისის ბოლოსთვის კონკურსის ფარგლებში 2007-2008 წლებში მხარდაჭერილი თითქმის ყველა პროექტი დასრულდა. შედეგად, პროექტების მოქმედების რეგიონებში: ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ პოლიციელებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან, შეხვედრები კანონის გასაცნობად სკოლებში (ხაშური), სასოფლო თემების წარმომადგენლებთან (შიდა ქართლი), აფხაზეთიდან დევნილებთან (ქუთაისი და წყალტუბო). გამოიცა ბროშურები ოჯახში ძალადობის კანონმდებლობის შესახებ, დაიბეჭდა პლაკატები, მომზადდა და რეგიონალური ტელევიზიით გადაიყვანა დებატების სერია ოჯახში ძალადობის პრობლემის თემაზე (გორი).



მაია მეცხვარიშვილი,
ძღუე-ის იმერეთის კომიტეტის ლიდერი
Maya Metskhvarishvili,
Leader of Inereti Committee of AVNG

12 მარტს ფონდმა უმასპინძლა იმ ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრას, რომელნიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო თავშესაფრებს მართავენ. ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ოჯახში ძალადობის დასაძლევად მიმართული ერთობლივი განცხადებები; თანამშრომლობა მედიის წარმომადგენლებთან; თანამშრომლობა ქალთა ქონებრივი უფლებების საკითხებზე; კოორდინირებული საქმიანობა მოძალადეებთან მუშაობის საკითხებზე; ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თემის ერთობლივი ლობირება სახელმწიფო დაწესებულებებში.

იმის გამო, რომ „არასრულწლოვანთა და ქალთა მე-5 კოლონიაში“ სარეაბილიტაციო ცენტრის „ატლანტისი“ დახურვის საშიშროება გაჩნდა (სასჯელის მოხდის ორ დაწესებულებაში ამ პროგრამის დანერგვა ჩვენი მხარდაჭერით ხორციელდებოდა 2004-06 წლებში), ფონდმა წამოიწყო აქტივობა „ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პატიმარ ქალთა მკურნალობა“, რომლის ფარგლებში ფიქრია ყოლბაიამ, ფსიქოლოგმა, პროგრამის „ატლანტისი“ ტრენერმა, პატიმარ ქალებთან იმუშავა თებერვლიდან ივლისის ჩათვლით. ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის აღსანიშნავად ფონდმა ზეიმი მოეწყო პატიმარ ქალებს.

განდარი და მელია

ფონდმა გააგრძელა ჟურნალისტთა ქსელის „გენდერ მედია კავკასია“ მხარდაჭერა რეგიონალური მნიშვნელობის რუსულენოვანი ჟურნალის „ქალთა დიალოგი“ (მთ. რედაქტორი: გალინა პეტრიაშვილი) მოსამზადებლად და გამოსაცემად. 2008 წელს გამოიცა და საქართველოში და ქვეყნის გარეთ ფართოდ გავრცელდა ჟურნალის მე-7 და მე-8 ნომრები, რომლებშიც გამოქვეყნდა სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწოდებული, ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და თანასწორობის საკითხების ამსახველი სტატიები და ფოტოები.

დოკუმენტური კინოს ახალგაზრდა რეჟისორ ქალებთან რამდენიმე საქმიანი შეხვედრის შემდეგ



კადრი ფილმიდან „ღრუბლებს ზემოთ“
A still from the film "High above the clouds"

ფონდმა მხარი დაუჭირა 2 დოკუმენტური ფილმის წარმოებას: მარი გულბიანის პროექტი „ლანჩვალელი არიადნები“, რომელიც ეხება სვანეთის სოფელში გათხოვილი ეთნიკურად რუსი და ყაბარდოელი ქალების ყოფას და სალომე ჯამის პროექტი „რესტორანი „ბაზმარო“ და ისინი, ვინც იქ მუშაობენ“, რომელიც საქართველოს რეგიონში მცხოვრები ადამიანების ყოფისა და არსებობისთვის ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს. ორივე გრან-

ტისმიმღებ რეჟისორს, ამ საწყისი გრანტებით, ფონდმა ხელი შეუწყო ფილმების სრულად დასაფინანსებელი სახსრების წარმატებით მოძიების საქმეში. ორივე ფილმის, სახელწოდებებით „ღრუბლებს მიღმა“ და „ბანძარო“ პრემიერები 2011 წელს გაიმართა.

☀️ ფონდმა, ვიდეო აპარატურის თხოვნებით, ხელი შეუწყო ლალი კიკნაველიძეს, დოკუმენტური კინოს რეჟისორს, პროექტის განხორციელებაში ფილმის „კოლაფსი“ გადასაღებად. ფილმი ეძღვნება ქალებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ნგრევას მოყოლილი წლების მთელი სიმძიმე გამოსცადეს. ფონდის მხარდაჭერით მომზადდა წინასწარი საჩვენებელი მოკლე ვერსია (ტრეილერი) სახსრების მოსაძიებლად ფილმის სრული დაფინანსებისთვის. ასეთივე დახმარება ფონდმა კიდევ რამდენიმე რეჟისორ ქალს/ახალგაზრდა დოკუმენტალისტებს გაუწია.

☀️ „**ჟურნალისტთა გენდერული სკოლა და მედია კამპანია**“ დაიწყო ორმაგი კონკურსის გამოცხადებით: **მონაწილეობისთვის ჟურნალისტთა სკოლაში** და **საპრიზო კონკურსში „საუკეთესო პუბლიკაცია ქალთა რეპორაჟული უფლებების/გენდერული სამართლიანობის საკითხებზე“**. ჟურნალისტთა სკოლის

დასაგეგმად ფონდის ოფისში მოეწყო რამდენიმე საშუალო შეხვედრა „ქალთა ცენტრის“, სხვა ქალთა ორგანიზაციების ლიდერების მონაწილეობით. საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, მაისში, ქალთა ცენტრმა ჩაატარა ჟურნალისტთა სკოლა, სადაც 17 ჟურნალისტმა (მათ შორის 11 – საქართველოს რეგიონებიდან) გაიარა სწავლება შემდეგ თემებზე: ძალადობა ოჯახში, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და შრომითი უფლებები, რეპორაჟული უფლებები და ჯანმრთელობა, აივშიდსი, როგორც ქალთა პრობლემა, შრომითი მიგრაცია და ტრეფიკინგი, გენდერული ჟურნალისტიკა. სკოლის ყოველი საშუალო დღის ბოლოს იმართებოდა დოკუმენტური ფილმების ჩვენება და მსჯელობები ქალთა უფლებების, ფემინისტური აქტივიზმის თემებზე.



საკონკურსო პუბლიკაციები ფონდის ვებ-გვერდზე თავსდება. ავტორთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა ნოემბერში, იმ დღეებში, როცა საქართველოს დელეგაცია ახალი დაბრუნებული იყო AWID (ასოციაცია ქალთა უფლებებისთვის განვითარების პროცესში) მე-11 მსოფლიო ფორუმიდან. დელეგაციის წევრებმა ჟურნალისტებს თავიანთი შთაბეჭდილებები და ფორუმში მონაწილეობის გამოცდილება გაუზიარეს. ის დღე დოკუმენტური ფილმის „ჯოჯოხეთის წარტყვევნა“ ჩვენებით დასრულდა.

ქალი და მშვიდობის მხანებლობა

☀️ დოკუმენტური ფილმის „**ჯოჯოხეთის წარტყვევნა**“ (Fork Films) ჩვენება საქართველოში ფონდმა მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ შესანიშნავი ფილმის ავტორებმა შემოგვთავაზეს საპატიო როლი მოგვეწყო საცდელი ჩვენებები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის და დაგვეფიქსირებინა ფილმის პირველ მაყურებლებზე მოხდენილი შთაბეჭდილება. ფილმი ამაღლვებლად მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გააჩერეს ლიბერიელმა ქალებმა სამოქალაქო ომი. ფილმის ტექსტი ქართულად ითარგმნა (დავით გაბუნია) და მომზადდა პლაკატი. პირველი ჩვენება 6 აპრილს ჩატარდა „კინოს სახლის“ დარბაზში. ამ და მომდევნო ჩვენებების დროს აუდიტორიამ გამოხატა აღტაცება და მადლიერება, რასაც ეს ფილმი ნამდვილად იმსახურებს. 22 აპრილს, ფონდში „ღია საზოგადოება – საქართველო“ გამართული ჩვენების შემდეგ, მსჯელობისას ქალთა აქტივიზმზე მშვიდობის მშენებლობაში, პასუხად იმ დღეებში ქართულში/ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სოფლებში დამბულობის ზრდისა და სროლების განხორციელებაზე, გადაწყდა ხელმოწერების შეგროვება სამშვიდობო მიმართვაზე. მიმართვის ტექსტი ფართოდ გავრცელდა და 24 აპრილიდან მოყოლებული, რამდენიმე ათასი ხელმოწერა შეგროვდა. „...გვჯერა, რომ მშვიდობის მშენებლობა, რაც ხანგრძლივ, თანმიმდევრულ, მრავალმხრივ მუშაობას მოითხოვს, ყოველი ჩვენთაგანის სასიცოცხლო ინტერესია და არა მხოლოდ პოლიტიკოსების საქმე...“, ნათქვამია სამშვიდობო მიმართვაში.



🔴 გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება იძულებით გადაადგილებულთათვის: 7

ავვისტოს დამეს კონფლიქტი ომში გადაიზარდა. 11 ავვისტოს თბილისში უკვე ათასობით იძულებით გადაადგილებული ოჯახი იყო დასაბინავებელი. ომის პირველ დღეებში, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები, ვუკავშირდებოდით კოლეგებს, ვაწვდიდით ინფორმაციას, ვიღებდით და ვავრცელებდით მხარდაჭერის წერილებს. 11 ავვისტოდან დაიწყო მუშაობა იძულებით გადაადგილებულთა დასახმარებლად, ვაწვდიდით საკვებს, ჰიგიენის პროდუქტებს, წამლებს. ჩვენ ვმოქმედებდით თანამშრომლობით ფონდთან „ღია საზოგადოება – საქართველო“, რომელმაც მაშინ დევნილი მოსახლეობის დახმარების ერთ-ერთი ყველაზე



დევნილები თბილისში
IDPs in Tbilisi

ეფექტური საკოორდინაციო და სადისტრიბუციო ცენტრი შექმნა. ვიღებდით შემოწირულობებს, ვუკავშირდებოდით ჩვენს გრანტისმიძღვებ ქალებს კახეთის რეგიონში, ისინი გვეხმარებოდნენ საკვების შესყიდვაში სოფლად და თბილისში გზავნიდნენ დატვირთულ მანქანებს. უნდა ითქვას, რომ პირველ შესყიდვებს მოჰყვა შემოწირულობები სოფლის მოსახლეობისგან, ხალხი გზავნიდა საზამთროდ ოჯახისთვის დამზადებულ კონსერვებს, ბოსტნეულს, ხილს, ტანსაცმელს, გვთავაზობდნენ უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების თავიანთ სახლებში დაბინავებას.

იმ დღეებში არა მხოლოდ ორგანიზაციები, მოხალისეები, მთელი მოსახლეობა ეხმარებოდა დევნილებს. დაახლოებით ერთ კვირაში დევნილთა დაბინავების შენობების კარებზე საერთაშორისო ორგანიზაციების სტიკერები გაჩნდა. მაშინ

ჩვენც სახელდახელოდ მოვამზადეთ და ამოვებუდეთ „პლაკატი“ წარწერით - „ვეხმარებით ერთად: საქართველოს მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები“.

27 ავვისტოს მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო დახმარების საკოორდინაციო შეხვედრაში, რომელიც საქართველოს პარლამენტის სპიკერთან არსებულმა გენდერული თანასწორობის საბჭომ გამართა. იხილებოდა საბჭოს მიმართვა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. ჩვენ, მიმართვის ტექსტში გასათვალისწინებლად, შემდეგი კომენტარი მივაწოდეთ:

„ადამიანის სიცოცხლე, ისევე, როგორც მშვიდობა, ადამიანის სიცოცხლისა და უსაფრთხოების პირობა, უმაღლესი ფასეულობაა; ცხადია, რომ მოვლენები სცდება რუსულ-ქართული კონფლიქტის ჩარჩოს და საერთაშორისო ხასიათს იძენს, მიმართვამ არ უნდა შეუწყოს ხელი გლობალური კონფორმაციის ესკალაციას; ჩვენი ქმედებები მიმართული უნდა იყოს ომის მსხვერპლთა სასარგებლოდ, მათი უკეთესი ინტერესების გათვალისწინებით“.



ძვენი დევნილებისთვის ლელიანიდან
A gift for IDPs from Leliani village



თამილა ვოგოლაძე აღმზრდელ დედასთან ერთად; ვორი, 1970-იანი წლები.

🔴 ომგამოვლილი ქალთა ზეპირი ისტორიები: ფონდმა განიხილა და მხარი დაუჭირა თამარ შარაბიძის, მკვლევრის, პროექტს იმ ქალთა ზეპირი ისტორიების დოკუმენტირებისთვის, ვინც პირადად გამოცდა ავვისტოს ომის საშინელებები და დათანხმდა თავისი გამოცდილების გაზიარებაზე. შედეგად, ფონდის არქივმა მიიღო გორში მცხოვრები ხუთი და ერთი იძულებით გადაადგილებულთა ბანაკში მცხოვრები ქალის დოკუმენტირებული ისტორიები.

ბენდერი და განათლება

🔴 პროექტის „ეთნიკური მრავალფეროვნების ზეიმი კახეთში, საქართველო“ ძირითად მიზნებად დაისახა: ნდობისა და ურთიერთგაგების სივრცის შექმნა ეთნო-კულტურული გაუცხოების დასაძლევად

კახეთის რეგიონის 8 სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფელში; სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღების მიპყრობა სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების თემთა პრობლემებზე და საჭიროებებზე. პროექტში მონაწილეობდნენ ყვარლის, ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები: უდები (სოფ. ზინობიანი), ოსები (წიწკანანთსერი, ახალსოფელი (3 ოჯახი), დაღესტნელი ავარლები, ლაზგები და ლაკები (ჩანთლისყურე, თივი), აზერბაიჯანელები (კაბალი), რუსი მოლოკნები (გრაფოვკა).

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ეთნიკური უმცირესობების თემების ყოფის, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების, ოჯახური არქივის დოკუმენტების, პორტრეტების კრებული. გადაღებულია 1000-ზე



მეტი ფოტო, 17-საათიანი ვიდეო მასალა, დოკუმენტირებულია 10 ზეპირი ისტორია. ცისანა გოდერძიშვილის (პროექტის კოორდინატორი) ილუსტრირებული წერილი სოფელ ულიანოვკაში მცხოვრები რუსი მოლოკნების ყოფასა და რიტუალებზე გამოქვეყნდა „ცხელ მოკლადში“; რამდენიმე ფოტო დაიბეჭდა საქართველოს სახალხო დამცველის ეთნიკურ უმცირესობათა ცენტრის პუბლიკაციაში „რელიგიები საქართველოში“.

პროექტის ფარგლებში გამოიცა **პლაკატი „ერთად“** (ფოტოებით და წარწერით 5 სხვადასხვა ენაზე) და წიგნი



რუსი მოლოკანი ქალი. კახეთი
Russian Molokan Lady, Kakheti

„სხვა საქართველო“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე). წიგნში შევიდა ფოტოები, სტატიები (ავტორები: ცისანა გოდერძიშვილი, არჩილ ქიქოძე) და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ზეპირი ისტორიები. პლაკატიცა და წიგნიც ფართოდ დარიგდა ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ, უპირველესად კი პროექტის მონაწილე თემებში.



ეთნიკური მრავალფეროვნების საფუძვლიანი ზეპირი ისტორიები, 2009
The first celebration of ethnic diversity festival. In August, 2009

ეთნიკური მრავალფეროვნების ზეიმი პროექტის ფარგლებში 2008 წლის აგვისტოში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ზეიმი გადაიდო აგვისტოს ომის გამო და საბოლოოდ, როგორც ურთიერთგაგებისკენ და სამშვიდობოდ გაშიშვნილი ყოველწლიური ზეიმის პირველი აღნიშვნა, 11 სოფლის წარმომადგენელთა მონაწილეობით ავარელთა სოფელ თივში 2009 წლის 7 აგვისტოს ჩატარდა.

მკვლევრების მომსახურებას, გენდერული კვლევების სტუდენტ პრაქტიკანტთა მუშაობის ხელმძღვანელობას, თანამშრომლობას საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ფონდის ტასო გამოცემების ელ. ვერსიების მოსათავსებლად ბიბლიოთეკის პორტალზე, და სხვ.

ფონდის შიდა პროექტი „ბიბლიოთეკა და არქივები“ მოიცავდა მკითხველებისა და

ფონდმა, სილვია პლათის რომანის „ზარხუფი“ გამოქვეყნებით, გააგრძელა გამოცემათა სერია **ფემინისტური ბიბლიოთეკა**. რომანის ქართული თარგმანი და წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის ლელა სამნიაშვილს, მწერალს. წიგნის ყდისთვის ფოტო მოგვაწოდა იტალიელმა მხატვარმა ლუსია პორფირიმ.



სილვია პლათი
Sylvia Plath

მონაწილეობა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაში: 2008

გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო ქსელის გენერალური ანსამბლეა და ტრენინგები ქალთა უფლებებისა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ გამოყოფილი განვითარების ოფიციალური დახმარების (ODA) პროგრამის თემებზე. იენისი, სტამბული.

კონფერენცია „ქალი და ძალაუფლება აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში“. ტრენინგები და დისკუსიები გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თემებზე. ორგანიზატორები: გაეროს განვითარების ფონდი და საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების თურქული სააგენტო, დეკემბერი, სტამბული.

AWID (ასოციაცია ქალთა უფლებებისთვის განვითარების პროცესში) ფორუმი 2008, თემაზე: „საზოგადოებრივი მოძრაობების ძალა“, გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო ქსელის მიერ ინიცირებული 2 დისკუსიის თანარგანიზება: „ქალთა მოძრაობები ქსელის წევრ ქვეყნებში: გამოცდილება და პერსპექტივები“ და „როგორ მოქმედებს ქალთა მოძრაობაზე პეტრო-ომები და პეტრო-პოლიტიკა“ ნოემბერი, კეიპ თაუნი.

2008 წელს გასაემული გრანტების ერთიანი თანხა: 60 618 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში
გასაემული გრანტების რაოდენობა: 47